№ 14. 21 იანვარი, ოთხშაბათი. 1866—1881 21 იანვარი, ოთხშაბათი. № 14.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა

რედაქცია

გალავნინ ბრაუნშვეიგზე ო, ია, შუბრანსკის სახლებიანი კლუბის ქვეშთა.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროებაზ“ „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

წელიწადში.	6 თვეს.	3 თვეს	
„დროებაზ“-„ივერიაზ“ ერთად	14 მან.	8 მ.	5 მ.
„დროებაზ“	9 მან.	5 მ.	3 მ.
„ივერიაზ“	7 მან.	4 მ.	2 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ. ჩვეულებრივ ასოთა ოთხ ასოზე 1 კაპ. ოთხ ასოზე ნახევარი კაპ. ნაკლებ ასოთა ასოთა ასოზე შეთხუნული კაპ.

თუ ხანგრძლივობა მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებსა, და უბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით გერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ტელეგრამები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

კეტერბურღის ბირჟა, 16 ივნვარს.

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფოს სააგენტოსი“)

	მან.	კაპ.
ბანკის ბილეთები:		
პირველი გამოცემისა	95	—
მეორესი	93	25
მესამესი	93	50
მეოთხესი	93	—
აღმოსავლეთის პირველი	92	—
აღმოსავლეთის მეორე	92	—
აღმოსავლეთის მესამე	92	—
ოქრო, 1/2 იმპერიალი	7	84
თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი	—	—
შინაგანის 5% სესხი ბილეთები:		
პირველი სესხის	221	50
მეორე სესხის	221	—

1 მანეთი ღირს:

ლონდონი	25	18 პენსი
ამბურღი	214	75 ცენტი
პარიჟი	265	87 სანტიმი
ვენა	129	50 ჰფენიგი
ქაკასიის კერასინი	—	—

სასოფლო ბიბლიოთეკებზედ

გასული წლის „დროების“ № 273 ჩვენ დიდის სიამოვნებით წავიკითხეთ სტატია „სოფლის ბიბლიოთეკა“ ბატ. ა. ნ—ლისა. ის იქ სხვათა შორის სწერს:

„წელს „წერა-კითხვის საზოგადოების“ კრებაზე ერთმა წევრმა წარმოსთქვა ორიოდე სიტყვა ბიბლიოთეკის დაარსებაზე სასოფლო სკოლების მასწავლებელთათვის. ეს აზრი მეუსრულებელი დარჩა, რადგან თვით აზრი გარკვევით არ იყო განმარტებული არც საზოგადოების წინაშე და არც ჟურნალ-გაზეთში“

ამბავმა სოფლის მასწავლებელთათვის ბიბლიოთეკების დაარსებაზე მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზედ და გამოგვიწვია ორიოდე სიტყვის სათქმელათ. ამ აზრის წარმომთქმელი ეტყობა, გულ-გრილათ არ უცქერის ხსენებული საზოგადოების დანიშნულებას; არამედ თვალ-ყურს ადევნებს საზოგადოების ნაწარმოები საქმეებს და მომავალსაც გულითად ელტვის. ეს ჩვენ იქედგან გამოგვყავს, რომ მის წინადადებას ბიბლიოთეკების დაარსებაზე დიდი კეთილი აქვს „წერა-კითხვის საზოგადოების“ კომიტეტის წინანდელს გადაწყვეტილებასთან, „რათა გახსნან თავის სადგომში (კანცელარიაში) ქართულ წიგნთ-საცავი და ბიბლიოთეკა, საცა მოაგროვონ ქართული ძველი ხელთ-ნაწერი და აგრეთვე დაბეჭდილი წიგნებიც, რომელნიც ახლა მთელს საქართველოში და სხვა. ქვეყნებშიაც გაფანტულია.“ („დროების“ № 76, გასული წლისა).

სასოფლო ბიბლიოთეკას ჩვენთვის დიდი და მრავალ-გვაროვანი მნიშვნელობა ექნება.

ა) ის არ დარჩება უნაყოფოთ წერა-კითხვის საზოგადოების კომიტეტის წინანდელს გადაწყვეტილების მიზნის მისაღწევად, შესახებ ქართულ წიგნთ-საცავის დაარსებისა. ცხადია, რომ უმეტესი ნაწილი ქართულ ხელთ ნაწერ ძველი წიგნებისა სოფლებში არის გაფანტული თავად აზნაურთა შორის და იქნება გლეხებშიაც. რა საკვირველია, ამ ისტორიული მასალების შეკრება სოფლის ბიბლიოთეკებში ადვილი იქნება, მერე ამ ბიბლიოთეკებს შეუძლია გამოგზავნონ ყველა ძველი „წიგნები „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საცავში.

ამას გარდა, რამდენი სოფელია ჩვენში ისე მივარდნილ-მიყრუებული, რომ გაზეთები ერთს იმათში მცხოვრებსაც არ მიუდის. საიდგან გაიგონ იმათ, რომ ქართულ ძველ ხელთ-ნაწერ წიგნებს გეთხოვენ ამა და ამ კეთილი მიზნისთვის და უნდა წარვადგინოთო? ზოგჯერ, კიდევაც რომ გაიგონ, ვაგლახათ არც კი ენდობიან კაცს. თუ სოფლის სკოლებთან ბიბლიოთეკები დაგვიარსდა, მაშინ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს საქართველოს ძველი ისტორიისა და ლიტერატურის აღსადგინებლათ საჭირო მასალების მოგროვება დამორებით უფრო გაგვიადვილდება. თავის ბიბლიოთეკასა და მასწავლებელს სოფელი უფრო ადვილათ დაენდობა და ჩააბარებს ძველ ხელთ-ნაწერებს, ვიდრე სხვებსა.

ბ) სოფლის ბიბლიოთეკების დაარსება დიდ შემწეობას აღმოუჩენს „წერა-კითხვის საზოგადოების“ თვით უმთავრესი მიზნის სისრულეში მოყვანას ხალხის გონებითს და ზნეობითს წარმატებისადმი.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, ყველას კარგათ ესმის ის ჭეშმარიტება, რომ ხალხის წარმატებისათვის ბიბლიოთეკები აუცილებელ საჭიროებას შეადგენენ. ამასთან ისიც ყველასთვის ცხადი უნდა იყოს, რომ ხალხს პირველათვე არ შეეძლება პირ-და-პირ ისარგებლოს ამ საშუალებით; ნაცვლათ ამისა ისარგებლებს იმით სხვა რიგათ: ბიბლიოთეკების გამართვა მისცემს სოფლის მასწავლებლებს შეძლებას დამორებით უკეთ წაიყვანონ თავიანთი დანიშნულება. შემდეგ რომელიმე სასწავლებლის შესრულებისა უწიგნოთ გონების გავარჯიშება და გავითარება შეუძლებელია ჯერ კარგა განათლებულ კაცისათვისაც, და რაღა ესთქვათ ჩვენი მასწავლებლებზე, როდესაც უმეტესი იმათგანი არის მხოლოდ ოთხ-კლასს დასრულებული. ყველასთვის ცხადია, თუ რამდენს ჭკუა-გონების საუნჯეს და საზრდოს იძენს იქ მოსწავლე: შემდეგ უნდა წავიდეს და იმასწავლებლოს, როდესაც მისთვის გონების გასახსნელათ და რაიმე მეცნიერებისა ენდობა და ჩააბარებს ძველ ხელთ-ნაწერებს, ვიდრე სხვებსა.

ბ) სოფლის ბიბლიოთეკების დაარსება დიდ შემწეობას აღმოუჩენს „წერა-კითხვის საზოგადოების“ თვით უმთავრესი მიზნის სისრულეში მოყვანას ხალხის გონებითს და ზნეობითს წარმატებისადმი.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, ყველას კარგათ ესმის ის ჭეშმარიტება, რომ ხალხის წარმატებისათვის ბიბლიოთეკები აუცილებელ საჭიროებას შეადგენენ. ამასთან ისიც ყველასთვის ცხადი უნდა იყოს, რომ ხალხს პირველათვე არ შეეძლება პირ-და-პირ ისარგებლოს ამ საშუალებით; ნაცვლათ ამისა ისარგებლებს იმით სხვა რიგათ: ბიბლიოთეკების გამართვა მისცემს სოფლის მასწავლებლებს შეძლებას დამორებით უკეთ წაიყვანონ თავიანთი დანიშნულება. შემდეგ რომელიმე სასწავლებლის შესრულებისა უწიგნოთ გონების გავარჯიშება და გავითარება შეუძლებელია ჯერ კარგა განათლებულ კაცისათვისაც, და რაღა ესთქვათ ჩვენი მასწავლებლებზე, როდესაც უმეტესი იმათგანი არის მხოლოდ ოთხ-კლასს დასრულებული. ყველასთვის ცხადია, თუ რამდენს ჭკუა-გონების საუნჯეს და საზრდოს იძენს იქ მოსწავლე: შემდეგ უნდა წავიდეს და იმასწავლებლოს, როდესაც მისთვის გონების გასახსნელათ და რაიმე მეცნიერ-

---

«დროების» ფელეტონი, 21 ივნვარს.

განთქმული თხზულება.

გრენვილ მურრეისა

მოთხრობა

(ნათარგმნი)

(დასასრული *)

მაგრამ ხანგრძლივი არ იყო იმის ბედნიერება. თუმცა შეეძლო ჩაეჩუმებინა თავისი სვინიდისი, რადგან თავის მოქმედებით არავის არ აენო და ვისაც დიდება მოჰპარა, ის დიდი ხანი მკვდარი იყო და საზოგადოების წინ უცნობი, მაგრამ მაინც ვერ იტანდა თავის ცრუ-მეცნიერებას. ის ემსგავსებოდა სხვის ფრთებით მაღლა აფრენილს, რომელსაც რაკი ფრთები შეუკვეცეს, ველარც უფრო მაღლა აფრინდა და ველარც ძირს დაეშვა. ისეთი ჭკვიანი იყო, რომ ჩინებულად სჯიდა იმ საგნებზე, რომელიც ეტყობოდა, რომ თავის გათქმულ თხზულებიდამ უნდა სცოდნოდა მშვენიერად; მაგრამ სუყველა სთხოვდა დაეწერა გაგრძელება, ან არა-და შემოკლებული სტატიები სამეცნიერო ჟურნალებში ასახსნელად ზოგიერთი ჰაზრებისა, რომელნიც გარკვევით არ იყვნენ გამოყვანილნი იმის განთქმულ თხზულებაში; თითონ კი იმდენი გამბედაობა არა ჰქონდა, რომ დაეწყო ამისთანა შრომა, არა ერთხელა მოჰკიდა ხელი კალამს, მაგრამ სუყველასთვის ჰგრძნობდა ისეთ დიდ სიმძიმეს, როგორიც არის ქონდრის კაცისთვის გმირის მახვილი. ბევრს ცდილობდა შეეთვისებინა ის სამეცნიერო საგნები, რომელზედაც სჯიდა იმის წიგნი, მაგრამ სულ ამაო იყო; განგრძელება ხომ იმ უცნობ დამწერის თეორიისა და იმის ლოღიკურათ ახსნისა მაქსისთვის შეუძლებელი იყო. სხვებსავით თითონაც კარგად ესმოდა, რომ თავის სახელით გამოცემულ თხზულებას განგრძელება უნდა მოსდევნოდა და ნამდვილ იმის დამწერს ფიქრშიაც ჰქონია დაწერა ამ გაგრძელებისა: მაქსი საშინლად ნაღვლობდა და რომ როგორმე მოიშოროს თავიდამ მეგობრები და თაყვანის-მცემლები, რომელნიც აბეზრებდნენ იმას, შორს უდგებოდა იმათ და როცა შეხვდებოდა, სიტყვას ბანზე უგდებდა.

მაქსს თან-და-თან ხასიათიც გამოეცვალა. ადრე იყო მხიარული, კეთილი კაცი; ეხლა კი გახდა ნაღვლიანი, შეჭმუხნული.

ერთხელ, როცა ცუდ გუნებაზე იყო, ისე მკვახედ ილაპარაკა მეფის წინ, რომ ამან არ მოუწონა ამ ნაირი ლაპარაკი და ალაგი ჩამოართვეს; ამავე დროს გაკოტრდა ის ვაჭარიც, ვისთანაც მაქსს მთლად თავის შეძლება ჰქონდა და სილარიბეც თავს დაეხვია.

ეხლა მეტი რა ღონე იყო, უნდა აეღო ხელში კალამი, რომ როგორმე დაერჩინა თავის სახლობა. მარტო ძვირფას საყვარელ დოროტეის შეეძლო იმის მოღრუბლულ სახეზე გამოეჩინა ღიმილი, ტირილით სთხოვდა ქმარს თავის ძვირ-ფას შვილისთვის მოიშოროს თავიდამ ზარმაცობა და დასწეროს კიდევ განოქმული თხზულება. ამ გულ-მოსაკლავმა თხოვნამ გაუღვიძა მამობრივი გრძნობა. ცრემლები მოსწმინდა ცოლს, გადაჰკოცნა, მერე ალერსით ყმაწვილს თავზე ხელი გადაუსვა და კანკალით დაჰპირდა აასრულოს თხოვნა, რაც ღონე და ძალი ექნება. იმ ღამესვე შეუდგა თავის მძიმე ტვირთს.

იმის მეტმა არავინ იცოდა-რა, ტანჯვა მოუნდა ამ გმირულ შრომის შესასრულებლად. მთლად იმის ჭკუა და გონება ისე ძალდატანებული იყო, რომ ამისთანა უზომო და დიდი შრომისაგან ტვინი სულ დაუსუსტდა. ზოგჯერ თითქო სულ გარეტიანებული იყო; მაგრამ ის ჰაზრი, რომ თავის ცოლ-შვილისათვის შრომობს, ამხნევებდა და დროებით ღონეს აძლევდა იმას. რაგვარიც უნდა ყოფილიყო მაქსის თხზულება, ავი თუ კარგი, ის მაინც შეიძინებდა სიმდიდრეს, რადგან იმის გამომცემელს სიტყვა მიეცა, რა წამს მივიღებ ხელთ-ნაწერს, ექვსი ათას თუმანს ჩაგაბარებო იმ პირობით, რომ ხუთი წლის განმავლო-

*) „დროება“, № 13.

რების შესაძენათ სამი ოთხი სახელმძღვანელოს მეტი არა არის.

აქედგან ცხადათ სჩანს, რომ ჩვენი სოფლის მასწავლებლები სწავლას იმდენათვე საჭიროებენ, რამდენათაც მათი შეგირდები. თითქმის უმეცარმა და უსწავლელმა მასწავლებელმა როგორი ზედ მოქმედება და გავლენა უნდა იქონიოს თავის მოსწავლეებზე? ასე ცოტა მეცნიერების მქონემ და გონებით სუსტათ გახსნილმა მასწავლებელმა როგორ გააგებინოს გლეხკაცს, რომ სწავლა-განათლება აუცილებლად საჭიროა კაცისთვის და ამისთვის იმან თავის შვილებს უსათუოთ უნდა ასწავლოს, თორემ ისინი ცუდი ოჯახის უფროსნი და საზოგადოების წევრნი იქნებიან?

უსწავლელი და უმეცარი მასწავლებელი არის ბრძოლის ველზე უიარალო მეომარი და უსინათლო და უსიტყვო წინამძღვარი, რომელნიც თავის საქმეში მტკიცე და დიდს ნაბიჯს ვერ გადადგმენ, დიდსა და თვალთ-საჩინო ნავარდს იშვიათად თუ იზმენ. თუ ამას დავუმატებთ დიდათ ძნელს მოთხოვნილებებს და მოვალეობას, რომელსაც პედაგოგია ითხოვს მასწავლობითს ასპარეზზე, რომ ყოველ მასწავლებლისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ცხადი და გარკვეული ცოდნა თავისი წმინდა მოვალეობისა და ხელობისა, რომ იმან უსათუოდ უნდა იცოდეს გარეშემო ბუნება და ხასიათი, ზნეობა, ჩვეულება იმ ხალხისა, სადაც მასწავლებლობს, მაშინ ჩვენ ცხადათ დავრწმუნდებით, რომ ჩვენ სოფლის მასწავლებლებს ძნელათ შეეძლებათ ამ პედაგოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილება და შესრულება. იმათი მასწაველებლობა არის გაჭივრების „ტალკვესი“. გაგვგონებათ: „უძალლო ქვეყანას კატას აჭყავლებდნენო“.

ჩვენ გაკვირვებით და განცვიფრებით ვკითხულობდით „დროების“ ნომრებს, რომლებშიაც ეწერა: ქუთაისში სოფლის მასწავლებელთა ყრილობამ აღმოაჩინაო, რომ ეს მასწავლებლები კარგი მცოდნე არიან თავის დანიშნულებისო. ახლაც არ გვჯერა და ვეჭვნეულობთ, რომ ეს ხმები მართალი იყოს. თუ ეს მართალია და ცოტა სწავლამ იმათ იმოდენა შეაძლებინა, რას უნდა მოველოდეთ მაშინ, როდესაც იმათი გონება უფრო განვითარდება და მეცნიერების სხივებით განათლდება! ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენათ მიაახლოვებს თავის მიზანს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ სოფლის მასწავლებელთათვის ბიბლიოთეკების დაარსება.

(დასასრული შემდეგ №-ში.)

ახალი ამბები

დიდი მთავარი კავკასიის ნამესტნიკი გუშინ-წინ, კვირა საღამოს წაბრძანდა თფილისიდამ პეტერბურგში.

დღევანდელს „კავკაზში“ დაბეჭდილია დიდი მთავრის უმაღლესი განკარგულება, რომ „დროებით, ჩემს დაბრუნებამდის, კავკასიის მთავარ-მმართებლის თანამდებობა, ხელმწიფე იმპერატორის ნება-რთვით, ღენ.—ადიუტ. თ. მელიქოვისათვის მიმინდვიაო.“

***

რუსულ გაზეთის „Порядокъ“-ის მეორე ნომერში დაბეჭდილია შემდეგი მშვენიერი სტრიქონები ჩვენის მხრის სახალხო სკოლების მნიშვნელობაზედ:

„მოგეხსენებათ, რომ კავკასიაში ადრინდელ სწავლა-განათლების გამგეობას ორი საგრძნობელი ნაკლულევანება ჰქონდა: ა) ხეირიანი მასწავლებლები ვერ ამოერჩია და ბ) მუდამ ცდილობდა, რომ, რუსულ პირველ დაწყებით სკოლების საშვალებით, კავკასიის ხალხები უნდა გაერუსებინა. განსაკუთრებით საშიშო მხარეს წარმოადგენდა ეს მეორე ნაკლულევანება ხსენებულ გამგეობისა.

„როგორც არ უნდა შევხედოთ ამ საგანს—ისტორიულის, პოლიტიკურის თუ საზოგადოებრივის მხრით, ყოველთვის ის დასკვნა გამოდის, რომ არ შეიძლება რომელსამე ხალხმა ძალ-დატანებით შეითვისოს მეორე ხალხის ისეთი თვისებანი, რომელნიც არც თავის ისტორიულ აღზრდით, და არც გეოგრაფიულ და არც სხვა მხრით შეეფერება მას.

„ბევრი საუკუნოების მაგალითმა, როგორც რუსეთისამ, აგრეთვე სხვა ქვეყნებისამ დაგვარწმუნდა, რომ არ შეიძლება რომელიმე ხალხის ეროვნული თვისებათა გაუქმება და მეორის, თუნდაც ძლიერის ხალხის, არსებით თვისების შემოღება, დამყარება.

„ქვეშევრდომ ხალხთაგან უცხო ენის, უცხო რჯულის, უცხო ხასიათების შეთვისება შეიძლება მხოლოთ ბუნებითის გზით, ძალა-დაუტანებლად და ისიც მხოლოთ მაშინ, როდესაც უძლიერესი ხალხი განათლებით ძალიან წინ სდგას ქვეშევრდომ ხალხზე და როდესაც ამ ორ ხალხს შუა დიდი გვარ-ტომობითი განსხვავება არ ჰსუფევს.

„ეს ისტორიულად დამტკიცებული ჭეშმარიტებაა. მაგრამ ჩვენ, საუბედუროთ, ეს ჭეშმარიტება ჯერ კიდევ ვერ გაგვიგია, რის დასამტკიცებლად საკმაოა მოვიყვანოთ ის მაგალითი, რომ დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც კავკასიის სახალხო სკოლებიდამ ხალხის ენის განდევნა გვინდოდა. ქართულ და სომხურ ენების სწავლებას უკრძალავდნენ ამ სკოლებში; ყველაფერს ასწავლიდნენ რუსულს ენაზე, რომელიც ად[illegible] რებთათვის სრულ[illegible] გებარი ენაა.“

***

გასულ კვირას, 18 იანვარს, თფ. სადვილ-მამულო ბანკის სადგომში იყო კრება „ქართულ დრამმატიკულ საზოგადოების“ დამფუძნებელთა.

უველაზე პირველად წაიკითხეს ახლად დამტკიცებული წესდება ამ საზოგადოებისა. კრებამ ამოირჩია საზოგადოების ნამდვილ წევრებად 27 პირი, რომელთაც წევრობის სურვილი განაცხადეს. (დამფუძნებელთ რიცხვი 21-ია).

შემდეგ კრება შეუდგა საზოგადოების გამგეობის (კომიტეტის) არჩევანს; ხმის უმეტესობით გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ: თ. აკაკი წერეთელი, თ. ილია ჭავჭავაძე, თ. გიორგი თუმანიშვილი, ნიკ. ქანანოვი, თ. რაფ. ერისთავი, მიხ. ყიფიანი და კოსტ. ყიფიანი. კანდიდატებად: ს. მესხი, დავ. აბალიშვილი და ეკატ. გაბაშვილისა.

იმედი ვიქონიოთ, რომ ეს საზოგადოება ჩვენს თეატრის საქმეს უფრო მკვიდრ საფუძველზე დააყენებს და უკეთ წარმართავს, ვინემ დღემდინ იყო.

***

ჩვენ შევიტყვეთ, რომ „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ მოსვლია პეტერბურღიდამ ბ. დ. ი. ჩუბინოვისაგან წერილი, რომელშიაც ის აცნობებს საზოგადოებას, რომ არდგენს ახალს რუსულ-ქართულს ლექსიკონს, სამი ასო а, б და в უკვე გაეათავე და მთელი ლექსიკონი, იმედი მაქვსო, ამ წლის დამლევამდინ მზათ მექნებაო.

ამას გარდა დ. ი. ჩუბინოვს ხელ-ახლად შეუმუშავებია ქართული გრამმატიკა.

გაში საკუთრად მე მქონდეს შენი თხზულების ბეჭდვის უფლებაო.

ბოლოს ვაი-ვაგლახით თხზულება შესრულდა. დამწერმა დიდი ოხვრით და მწარე ღიმილით დააგდო კალამი, რადგანაც დიდი ხანია გრძნობდა, რომ ველარ აიტანს, თუ იმის თხზულებას დაიწუნებენ. საწყალს მშრომელს სიკვდილი უახლოვდებოდა. თითონ ცხადათ ხედავდა, რომ გაუჩნდა გულის-ფრიალი, რომელიც წარმოსდგებოდა მეტის მუშაობისაგან და სხეული მოშლილი ჰქონდა; საკმარისი იყო მოულოდნელი, უეცარი შემთხვევა, რომ იმ საწყალს უცბად ბოლო მოჰღებოდა. ერთად ერთი ჰაზრი, რომ თავის ცოლ-შვილს ულუკმო-პუროთ არ დააგდებს, იძლევდა იმას ნუგეშს. რაც შეეხება დიდებას, თითონ დარწმუნებული იყო, რომ სიკვდილის შემდეგ იმის სახელი მიწასთანაც გაასწორონ, ცოლს მაინც ცილის-წამება ეგონება და არას დაიჯერებს; იმის წინ ნათლად გამოვა, როგორც ეხლა არის და მაქსს თვალში სხვა ატარ მოსდიოდა-რა.

დრო გადიოდა; წიგნის გამომცემლისაგან ფული გამოიტანეს, კორრექტურაც გათავდა, სუყველა ქვეყნის გაზეთებში გამოაცხადეს გამოჩენილი თხზულების დაბეჭდვა. ბოლოს იმ დღესაც მოესწრო, როდესაც დაიწყეს ამ წიგნის გაყიდვა და ათასობით დაიტაცეს მოუთმენელ მკითხველებმა. ამ დროს მაქსი ემგზავსებოდა იმ დამნაშავეს, რომელიც უცდის მსაჯულების გადაწყვეტილობას, და ისე გრძნობდა დამნაშავედ თავის თავს, რომ არც კი მოელოდა საზოგადოებისაგან მოწყალე თვალით ცქერას.

უკანასკნელ დღეებში მაქსი ძალიან ავათ გახდა; ერთ საღამოს გორგოლაჭებიან სავარძელით გამოიყვანეს ბაღში. რამდენიმე წუთის შემდეგ ფოჩტალიონს უნდა მოეტანა დილის გაზეთები იმ დიდ ქალაქიდამ, რომელიც მაქსმა დასტოვა და წამოვიდა სოფელში თავის თხზულების შესასრულებლად; თითონაც და ცოლმაც კარგა იცოდნენ, რომ ამ გაზეთებში იქნება პირველად კრიტიკული განხილვა ახალ თხზულებისა. გაიარა ნახევარმა საათმა. მაქსი ხმას არ იღებდა, გაბრუებული იყო; დოროტეი, ყმაწვილით ხელში, ფეხთან უჯდა.

უცბათ ბაღის კარებთან გამოჩნდა ფოჩტალიონი. საწყალი ქალი მაშინვე იმას ეცა იმ იმედით, რომ კაი ამბავი მოუტანოს ქმარს და იმითი ფეხზე დააყენოს. გაშტერებულ ფოჩტალიონს გამოსტაცა გაზეთები და იმწამსვე გახსნა.

მაქსი უძრავად შორიდამ თვალს ადევნებდა; სიკვდილი ისე მიეპარებოდა იმას ნელ-ნელა, როგორც ზღვის ზვირთი ნაპირს მზის ჩასვლაზე. ერთი წუთი კიდევ და შემოესმა დოროტეის გამარჯვებით ყვირილი; ის საჩქაროთ მორბოდა ქმრისაკენ.

— მაქს, მაქს, მაქს! უყვიროდა სიხარულით დოროტეი და გაზეთებს იქნევდა:—უყურე, წაიკითხე! ერთხმით ამბობენ, რომ ეს თხზულება სჯობია პირველს! უყურე! სუყველა, სუყველა ამას ამბობს!

მაქსმა გადახედა და წაიკითხა. ერთ წუთს, გათავების წინ, მოუგროვდა ღონე.

დაბინდდა. მაქსმა გადიკითხა ხან ერთი გაზეთი, ხან მეორე და ნელნელა ღვრიდა ცრემლებს.

ბოლოს სტაცა ცოლს ხელი, მაგრად მოუჭირა, მხურვალედ გადახედა იმასაც და ყმაწვილსაც და ძლივსძლიობით გამოსთქვა შემდეგი:

— დოროტეი... ბედნიერი არ ვიყავ ამ უკანასკნელ დროს. ასწავლე ჩვენ შვილს პატიოსნობა და სიმართლე... უმისოთ სრული ბედნიერება შეუძლებელია. მე ვკვდები, მაგრამ მადლობა ღმერთს, თხზულება კარგი გამოდგა! გაზეთების სიტყვით ესეც ისეთი გამოჩენილი თხზულებაა, როგორიც პირველი იყო! ეხლა ისე აღარ შემრცხვება, იმას იქ რომ შევხედები...

—

საწყალ დოროტეიმ აქამდინ არ იცის—ვიზე ლაპარაკობდა სიკვდილის წინეთ იმის გამოჩენილი და გენიოსი ქმარი.

ა. თ.

როგორც ამ ორ წიგნს, აგრეთვე იმ დიდ ქართულ-რუსულ-ფრანცუზულ ლექსიკონს, რომელზედაც დღევანდელ ნომერში რამდენიმე სიტყვაა მოხსენებული, ბ. ჩუბინოვი საუკუნოს საკუთრებად უთმობს „წერა-კითხვის საზოგადოებას," ოღონდ გამოეცით, დაბეჭდეთ და რაც სარგებლობა იქნება, საზოგადოებამ თავის საჭიროებისათვის მოიხმაროსო.

ჩვენის აზრით, სამივე ზემოხსენებული წიგნები ისეთი სასარგებლო და საჭირონი არიან ამ ჟამად ჩვენთვის, რომ „წერა-კითხვის საზოგადოება," თუ კი როგორიმე მოახერხა, ვალდებულია მადლობით მიიღოს ბ. ჩუბინოვის კეთილი წინადადება და ეცადოს ამ წიგნების გამოცემას.

* * *

მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, ოთხშაბათს, არწრუნის თეატრში დანიშნულია ბენეფისი თ. ზ. მაჩაბლისა. ითამაშებენ: თ. რაფ. ერისთვის სამ-მოქმედებიან კომედიას — „ადვოკატებს" და ა. ციფიანის ახალ ვოდევილს „ვინ იყო?"

ზაალ მაჩაბელი ერთი კეთილ-სინდისიანთაგანი და მეცადინეთაგანი მოთამაშეა ჩვენის ტრუპპისა. ჩვენი საზოგადოება, უეჭველად, დააფასებს ამ, ჩვენში იშვიათს, ხასიათებს მობენეფისისას და ღირსეულ თანაგრძნობას გამოუცხადებს მას.

* * *

მოგვყავს გაზ. „გოლოს"-იდამ შემდეგი ცნობა დ. ი. ჩუბინოვისაგან შედგენილს ქართულ-რუსულ-ფრანცუზულ ლექსიკონზე.

„პეტერბურღის უნივერსიტეტის დამსახურებულ პროფესორმა დ. ი. ჩუბინოვმა წარუდგინა პეტერბურღის სამეცნიერო აკადემიას მისგან შედგენილი ქართულ-რუსულ-ფრანცუზული ლექსიკონი, რომლის შესადგენლად იმას დაუდვია ბევრი ღვაწლი. ეს ლექსიკონი წარუდვენია ბ. ჩუბინოვს აკადემიისათვის 4 აპრილს 1878 წ. და უთხოვნია, რომ აკადემიას ის დაებეჭდა. აკადემიის ისტორიისა და ფილოლოგის ფაკულტეტმა თანაგრძნობით მიიღო ეს დიდი შრომა ბატ. ჩუბინოვისა და ხელნაწერის განხილვა მიანდო აკადემიკოსს ბროსსეს. ბროსსემაც დიდათ დააფასა ეს შრომა და გამოაცხადა, რომ ეს წიგნი რუსული ლიტერატურისთვის დიდათ სასარგებლო იქნებოდა, თუ დაიბეჭდებოდაო. თავისი ჰაზრით ამ საგანზე ბ. ბროსსემ დაბეჭდა კიდეც ქართულ ჟურნალის „ივერიის" 28 ნომერში, 1878 წ. ამ სტატიაში ბ. ბროსსემ ბეჭდვით გამოაცხადა, რომ ჩუბინოვის ლექსიკონი არის ვრცელი და უფრო კარგათ შედგენილი, ვინემ მისივე ლექსიკონი, 1840 წელს, გამოცემული აკადემიის ხარჯით.

„თუმცა ბროსსეს ჰაზრი ამ ლექსიკონზე იყო კარგი და სამეცნიერო აკადემიაც არ იყო ამ ლექსიკონის დაბეჭდვის წინააღმდეგი, მაგრამ, აკადემიის სეკრეტარის ბ. ვესელოვსკის წყალობით, ხელ-ნაწერი ლექსიკონი დღეს ისევ უკან დაუბრუნდა ბატონ ჩუბინოვს, და ვინ იცის, იქნება აკადემიამ არც კი იცის — თუ ბ. ვესელოვსკამ არ ინება ამ ლექსიკონის დაბეჭდვაო, ამბობს რუსული გაზეთი.

ვესელოვსკი ამ ლექსიკონის დაბეჭდვის წინააღმდეგი იმიტომ იყო, რომ არ უნდოდა ქართული სიტყვების განმარტება ყოფილიყო ქართულისავე სიტყვებით, რადგანაც ამ რიგათ დაბეჭდვაზე ბევრი დაეხარჯება აკადემიასო. ბროსსეს გამოანგარიშებით კი ამ წიგნის დასაბეჭდათ საკმაო იქნებოდა 3,200 მანეთი.

„საკვირველიაო, ამბობს „გოლოს", ბეტლინგის სანსკრიტულ ლექსიკონის დასაბეჭდათ ჩვენმა სამეცნიერო აკადემიამ 60,000 მანეთი დახარჯაო და აქ 3,200 მანეთი ენანებაო".

„დროების" კორრესპონდენცია

ზემო-იმერეთი, 12 იანვარს. ყველას ახსოვს, რომ ამას წინეთ იყო ყოვლად-სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზის განკარგულება: ვინც საეკლესიო ლოცვები არ იცოდა, მისთვის მღვდლებს ჯვარი არ უნდა დაეწერათ; ისიც ბევრს ახსოვს, ეს განკარგულება თუ როგორ ბოროტათ იხმარეს სოფლის მღვდლებმა. მაგრამ ამ წესმაც თან-და-თან მიიძინა და ბოლოს კარგი ხანია სრულიად მიეწყდა.

არც ცოლსათხოვებით და არც გასათხოვარნი სრულიად აღარ ფიქრობდნენ — თუ ცოლის შერთვას, ან გათხოვებას ლოცვების უცოდნელობა დააბრკოლებდა. ამათი სანატრელი ერთი-ღა იყო: მალე მოეცილებინათ თავიდგან ქრისტეს-შობის მარხვა, ჩქარა გაეტარებინათ შობა-ახალწლის დღესასწაულები და სიხარულით შეგებებოდნენ ნათლის-ღების დღეს.

წავიდა ძველი წელიწადი, მობრძანდა ბრწყინვალე, უმანკო ახალი წელიწადი. ზარდაურჩით, კარგათ იყო თუ ავათ, ძველს წელს, გადავაბიჯეთ გულის ძგერით ახალში და ღმერთმა იცის, რა სწადია ახლა ამ უკანასკნელს ჩვენთვის: უკეთესი თუ უარესი? უკეთესობას როდი ვართ ჩვენ მიჩვეული. აქნობამდისაც ამას ვეხვეწებოდით ღმერთს: „უარესისაგან დაგვიფარეო!" და თუ ეს აგვისრულდა, ჩვენ მეტი არ გვინდა, ან რომ გვინდოდეს, თხოვნასაც ვერ გავბედავთ...

დადგა თუ არა ახალი წელი, შეიქნა ჩვეულებისამებრ მილოც-მოლოცვა. გლეხები ერთმანეთს ეუბნებიან: — „ღმერთმა კარგ მოსავალს შეგვასწროს ამ წელში!" — და მღვდლები კი: „ღმერთმა კარგს შემოსავალს მოგვასწროსო!"

მართლა და ამ უკანასკნელებს მალე გაუმართლდათ თავიანთი სურვილი: მიიღეს ცნობა, რომ თავის ბლაღოჩინებთან ფიცხლათ გამოცხადდენ. მღვდლები დანიშნულ დროს გამოცხადდებიან თავის ბლაღოჩინთან და მიულოცვენ ახალ წელს და სხვა დღესასწაულებსაც. ბლაღოჩინი უცხადებს იმათ შემდეგს:

— თანახმად ყოვლად-სამღვდელოს განკარგულებისა, უკეთუ სარძლომ და სასიძომ კარგათ არ იცოდნენ ლოცვები: „მამაო ჩვენო," „მრწამს ერთი ღმერთი," „ათი მცნება," „ცხრა ნეტარება" და სხვ., მათ ჯვარი არ დაეწეროსთ; წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხის-გებაში იქმნებით მიცემულნიო."

გათავებისათანავე ამ განცხადებისა, მღვდლებმა მეტის აღტაცებისაგან „აქსიოს" უგალობეს... მართლა, კინაღამ არ შევსცოდე და განცხადებაში თავი აზრი გამოვტოვე; ყველაზე არ შემიძლია ვსთქვა, რადგანაც ნამდვილათ არ ვიცი და ზოგიერთ ბლაღოჩინს თურმე ჩაუმატებია ეს ერთი სიტყვაც: „უჩემოთო," ესე იგი, უჩემოთო ჯვარი არ დასწეროთო, ლოცვების უცოდნელი სასიძო და სარძლოს პატრონი ჩემთან წარმოგზავნეთო.—

დაბრუნდნენ მღვდლები — ერთის მხრით მხიარულნი, მაგრამ მეორეს მხრით სიტყვები: „უჩემოთ, ჩემთან გამოგზავნეთო", ცოტა არ იყოს, არ ეჭაშნიკათ. მღვდლებმა ეს განკარგულება ხალხს გამოუცხადეს.

ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენი გოგო და ბიჭი დაღონდა და სიზმრათ გადაიქცა: სულ ლოცვები და თავზე გვირგვინი სიზმარში ელანდებათ და აღარაფერს ოჯახის საქმეზე მათ გული აღარ მიუდისთ! რამდენი ქორწილისათვის მზადება მოიშალა! საწყალ გლეხებს სალოროები დაუმგრიეს სასუქებმა. რაღა უყონ? გამოუშვან და დაამქლეონ, გაყიდონ, თუ ისე ასუქონ!

ბევრი გოგო, ბიჭი და მათი პატრონი იძახის: „ნეტავ ისევ ძველი წელიწადი ყოფილიყო, ან ნეტა ძველ წელიწადში მაინც მომესწროვო!" და ცოტა ფიქრის შემდეგაც დაამატებს: „ღმერთო უარესისაგან დაგვიხსენიო!"

ს.

რუსეთი

მარტოკა ჩვენ არა ვჩივით უცხოენის შემოღებას სახალხო სკოლაში სწავლის პირველ წლიდგანვე; ჩვენ გარდა არიან კიდევ სხვანიც, რომელნიც განათლების საქმის შესახებ თითქმის იმავე მდგომარეობაში ჩავარდნილან, როგორშიაც ჩვენ ვიმყოფებით, და თითქმის იმავე ტკივილს აღიარებენ, რომელზედაც ჩვენც არა-ერთხელ გვქონია ლაპარაკი. აი, სხვათა შორის, რას იწერება რუსული გაზეთის „Порядокъ"-ის კორრესპონდენტი ქალაქ ვილნოდამ:

„სახალხო განათლების მოწყობილობამ ჩვენში არა მგონია დააკმაყოფილოს თვით ისინიც, რომელნიც, ამ საქმის შესახებ, დიდი ხანია მიჩვეულნი არიან ყოველ[illegible] რობას. მიზეზი მრა[illegible] გვგონოთ კი, რომ ეს მიზეზი, სხვათა შორის, არსებობდეს საშუალებათა უქონლობაში; სრულიად არა: ამ მხრით ვილნოს მაზრა (ოკრუგი) ზოგიერთა სხვა მაზრებზედ ბევრად უფრო მდიდარია. თავი-და-თავი მიზეზი არსებობს იმაში, რომ სრულიად დაივიწყებული აქვთ განსაკუთრებული სავვარტომო თვისება ლიტველებისა. ლიტვური ენა ისე მიემზგავსება რუსულს ენას, როგორც მაგალითებრ ქართული. თუმცა ეს ასეა, მაგრამ მაინც სახალხო სკოლაში 7-10 წლ ის ბავშვებს, რომელთაც არც ერთი რუსული სიტყვა არ გაეგებათ, აწყებინებენ კითხვას, შემდეგ წერას და არითმეტიკას რუსულს ენაზედ. ლიტვურს ენას ასწავლიან ოფიციალურ ანაბანაზედ, რომელიც დაბეჭდილია რუსული ასოებით; ისიც — ასწავლიან მხოლოდ კითხვას. მოგეხსენებათ, რომ სწავლა სახალხო სკოლაში არის წელიწადში მხოლოდ ხუთი-ექვსი თვე, და აი ამ დროის განმავლობაში ყმაწვილმა უნდა ისწავლოს თვის სამშობლო ენის გარდა, კიდევ ახალი ენაც. ცხადია, რომ რაც უნდა ბეჯითად ისწავლოს ბავშვმა, მაინც ზაფხულში სრულიად დაავიწყდება რაც უსწავლია ზამთარში. ეს კიდევ არაფერი, ჩვენის აზრით, ამ გვარი სისტემა, არამც თუ ვერ გაავრცელებს რუსულს ენას, არამედ ბავშვს გონებასაც დაუხშობს სრულიად. რაღა თქმა უნდა, რომ ჩქარი და ხეირიანი შესწავლა რუსულის ენისა დიდად სასარგებლო იქნება ლიტველებისათვის. მაგრამ აწინდელი სისტემა, ჩვენის აზრით, ამ საქმისათვის გამოუსადეგია. აქამდისინ ლიტველები ერიდებიან სახალხო სკოლებს, და არა იმიტომ ვითომ ხალხში არ არსებობდეს სწავლის სურვილი. სრულიად არა; ლიტველი დიდის ხალისით ჰკიდებს ხელს წერა-კითხვას. ამას ამტკიცებს, სხვათა შორის ჩვენში, ესრედწოდებული, მოგზაური მასწავლებელი. ეს არის მოხუცებული კაცი, ღონე მიხდილი სიბერისაგან, რომელიც ზაფხულობით მწყემსია, ზამთრობით კი დაეხეტება სოფელ-სოფელს და ასწავლის ბავშვებს კითხვას ძველებურ ლიტვურ წიგნებზედ, სიმღერებზედ და ლოცვებზედ. რაც უნდა უხეირო იყოს ამ გვარი სწავლება, მაინც ცილაობს აწინდელ სახალხო სკოლასთან".

—

ერთ რუსულ გაზეთში („Совр. Изв.") იწერებიან, რომ ერთს თვალსაჩინო მოღვაწეს პიევიდამ თხოვნა გაუგზავნია პეტერბურღს ნება მომეცით „მალოროსიული გაზეთი" გამოვეცეო. კორრესპონდენტის სიტყვით იმედია, რომ ზემოხსენებულ გაზეთის გამოცემას დაბრკოლება არ მიეცემაო, მით უფრო რომ სენატორმა პოლოვცევმა დაპირება აღიარა, რომ მალოროსიულ ენას, რომელიც აქამდისინ აღკრძალული იყო, ისევ თავისუფლება მიეცემაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალორუსიულის ენის აკრძალვის შესახებ აი რას ამბობს, სხვათა შორის, ახლად-დაბადებული რუსული გაზეთი „Порядокъ“-ი:

„როდესაც ვისმენთ პეტერბურღისა და მოსკოვის კერძო სახლებში თუ კონცერტებში მშვენიერ მალორუსსიელ სიმღერებს, ვინ მოიფიქრებს, რომ თვითონ მალორუსსიაში ესევე სიმღერები აკრძალულნი არიან საჯარო ყრილობებში. მალორუსსიელი ენა აკრძალულია აგრეთვე მალორუსსიელ სახალხო სკოლებში, სადაც მასწავლებელთ ნება არა აქვთ ელაპარაკონ ბავშვებს მათ სამშობლო ენაზედ.

„ენა მძიმე და უმთავრესი საქმეა პირველ დაწყებით სკოლაში, მის რიგიან და გონივრულ მომართვაში. თუ სკოლის მოწყობილობაში ჩაურთეთ პოლიტიკა, მაშინ საქმის გარდაწყვეტა მთლათ პოლიტიკას უნდა მივანდოთ. მაგრამ, თუ არც ერთს პედაგოგს საპოლიტიკო აზრი (რაც უნდა იყოს) არ მიაჩნია განათლების სახსრათ; თუ პირიქით პოლიტიკის გარევას სცნობს მავნებლათ სკოლის საქმისათვის, მაშინ მის მოთხოვნილებას უნდა დაუმორჩილდეს პოლიტიკა თუ არა? ამაზედ ჩვენ ვიტყვით: შორს მხედველმა, მაშასადამე, გონივრულმა პოლიტიკამ თვით ისტორიიდამვე უნდა გაიგოს, რომ სკოლაში არაფერი გარეშეული არ უნდა იყვეს ჩართული, — გარეშეული, რომელიც მარტო აბრკოლებს და აუძლურებს ჭკუა-გონების თავისუფალ განვითარებას“.

განცხადებანი

არწრუნის თეატრში
ოთხშაბათს, 21 იანვარს
ბ ე ნ ე ფ ი ს ი

ქ. ზ. მაჩაბლისა

ქართულ ტრუპპისაგან წარმოიდგინება

I

ადვოკატები

კომედ. 3 მოქმედ. თ. რ. ერისთავისა.

II

ვინ იყო?

ვოდევილი ერთ მოქმედებათ.

ბილეთები ისყიდება არწრუნის თეატრის კასსაში.

დასაწყისი 8 საათზე.

ქუთაისის

ტრანსპორტნი კანტორა ძმათა თუთუნოვებისა, მართველი ივანე პასიკოვი, სთხოვს საზოგადოთ ქუთაისის გუბერნიის მოვაჭრებსა და აგრეთვე მქონებელსა

ბამბისა

ვისაც აქვს გასასყიდი, მობძანდნენ კანტორაში, ბულვარის პირ-და-პირ ივანე ზედგინიძის სახლში საქალაქო ბანკის ქვეშ, სადაც გაურიგდებიან ფასს ანუ პირ-და-პირ მოიტანენ და მაზანდაზედ მიიღებს კანტორა, ნაღდს ფულზედ. (5—1)

ამ წლის 7-ს იანვარს ბუნიბის მოედანზე, ბოდფრუას ცირკის გვერდით გავხსენი

ზალა გიმნასტიკის ვარჯიშობისა,

სადაც ყველა ხნის კაცებსა და ქალებს შეუძლიანთ გიმნასტიკური ვარჯიშობა დილის 8 საათიდამ საღამოს 10 საათამდინ.

დაწვრილებით პირობების შეტყობა მსურველს შეუძლიან აქვე ზალის კანტორაში, რომელიც შუა დღიდამ 2 საათამდინ გაღებულია.

აქვე ასწავლიან კანკებით ცურვას და ვარჯიშობას ველოსიპედით; ასწავლიან აგრეთვე ფეხტოვანას. (6—1)

ადვოკატი ევგენი დიმიტრის ძე ტიხამიროვი

იცავს ყოველ-გვარ საქმეებს სასამართლოებში; აგრეთვე არდგენს ყოველ-გვარ საქმის ქაღალდებს, არზებს და აძლევს რჩევას.

შინ მიიღებს დილის 8 საათიდამ 11-მდინ და საღამოს 6-დამ 8-მდინ. დგას „პარიჟის“ სასტუმროში, № 3, გოლოვინის პროსპექტი. (3—3)

შ ე ნ ი შ ნ ვ ა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

მაკ - მასტერი

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო ინგლისის მაღაზიაში ეს წამალი ეხლა 2 მანეთად დირს. (100—95)

უმთავრესი კანტორა

იაგორ ქასუმოვი და ამხან.

სავაჭრო სახლი

21 რიცხვს ამა იანვრის თვისა, ე. ი. ოთხშაბათს საღამოს 7 საათზე დანიშნულია პირველი **წლიური კრება** ამ ფირმის ზედამხედველ კომიტეტისა, რათა მოისმინოს ანგარიში წარსული წლის ოპერაციაზედ, მოგების განაწილებაზედ და მომავალ წლის სმეტის დასამტკიცებელად. ამის გამო უმორჩილესად სთხოვს ყველა კომიტეტის წევრებს და ამხანაგობის დამაფუძნებელთ, რომელნიც არ ირიცხებიან კომიტეტში, მობრძანდნენ დანიშნულს დროზედ უმთავრესს კანტორაში.

მეორე ხარისხის პაისჩიკები ამ ამხანაგობისა, რომელთაც ჰსურთ დაესწრონ ამ კრებაზედ, ვალდებულნი არიან, §§ 11, 12, 13 და 14 ზედამხედველ კომიტეტისაგან დადგენილ წესდების ძალით, შესახებ სხდომებისა, განუცხადონ თავიანთი სურვილი ფირმის უფროსს და მიიღონ მისგანვე ბილეთი ზალაში შესასვლელი.

დროება - ივერიის

რედაქციისა და კანტორის

ქუთაისელს განყოფილებაში

(სიღაზე მ. ჭყონიას სახლში, აგენტთან ი. ჭყონიასთან)

მიიღება **ხელის-მოწერა** და განცხადებანი, კორრესპონდენციები, წერილები და ცნობანი თვით რედაქციაში გადასაცემლად.

ადრესი: *Въ Кутаисъ. Въ Кутаисское отдѣлене редакціи и контор ДРОЭБА-ИВЕРІИ.*

ქ უ თ ა ი ს შ ი

„ივანე ნიკოლაძის და შვილების“

მ ო დ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა შ ი

ისყიდება ყველაფერი რაც გინდა სულო და გულო:

მანდილოსნების ტანისამოსი, ოქროულობა, დიდ-ძალი და ჩინებული შუშეულობა, მშვენიერი საცვალი კაცისა და ქალების გასაოცარ იაფად. წარმოიდგინეთ: პარიჟში საგანგებოდ შეკერილი უპირველესი ხარისხის პერანგები თითო 3 მან. 75 კ. იყიდება! გარდა ამისა საზღვარ-გარეთის ჩინებული ჩექმები, რომელთაც **სიმტკიცე აქვს ნაჭედისა და სილბილე ნაქსოვისა**; ძალიან ბევრი სათამაშოები ბავშვებისათვის და სხვ. და სხვ.

ერთის სიტყვით, ვისაც რა გნებავთ, შებძანდით **„ივანე ნიკოლაძის და შვილების“** მოდის მაღაზიაში და იქ იპოვნით ყველაფერს ძალიან ხელ-მისაცემ ფასად, ასე რომ შემდეგში მუდამ მადლობელი იქნებით ამ მაღაზიისა. (10—7)

ისყიდება ყოველ-გვარი **თუჯისა და სპილენძის ნივთები გადასადნობად** — წმ. გიორგის ეკკლესიასთან, მდივანის სახლებში, კახურ ღვინის სარდაფში. (25—6)

ლონდონის მაღაზია კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლემრევინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსასურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამშ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭკვანას სიგარები. (100—9)

პატენტიანი შროტკები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარჩევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრება 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჯ; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. **ინგლისურს მაღაზიაში.** (100—81)

ინგლისის მაღაზიაში ისყიდება რევოლვერები, რომლითაც შეიძლება ოცი ავაზაკის ერთად მოკვლა, ფასი 1 მან. 50 კაპ. ყველა ინგლისის იარაღები ისყიდება აქ 30 პროცენტ ნაკლებ ვიდრე სხვაგან. (20—11)

ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა კიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად და საუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შროტკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ... (100—20)

შემთხვევით

რადგან ინგლისის მაღაზია სასმელეულით ვაჭრობას თავს ანებებს, ამის გამო ახლა ისყიდება: პირველის სორტის 3 წლის ხერესი და პორტვეინი ბოთლი 1 მან. და 50 კაპ., ძალიან კარგი 1 მან. და 20 კაპ., საუკეთესო კონიაკი — 2 მან. იქვე ისყიდება 5,000 ფადნოსი და გასაღებები 8 კაპ., ინგლისის რევოლვერი 4 მანეთიდამ 35 მანეთამდინ, საუკეთესო ტარიელკები 2 მან. დუჟინი, პალტო და მთელი ტანისამოსი 15 მან. და სხვ. 20—20

Дозволено цензурою. Тифлисъ 20 Января 1881 г. Типографія Меликова ბამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი